ნაცვ. რა ვქნა სამსახური თუ სვინიღისიერათ არ ასარულე, ქე გამოგობებენ, თვარა ჩემი ნება რომ იყოს, რავა ვინმეს შევაწუხებ. დღეს მამასხლისმა გამოგვეცხადა—ამელამ ერთი ძალიან დიდი კაცი გვიარს მაშინით და რკინის გზაზე ყალურები უნდა დააყენო. რავი კაცი უწყეს ჩემს სანაცვლოს. ერთათ შენ უნდა წახვიდე, მეტი გზაი არა მაქ.

კაც. კაცო რა არის ყოველთვის მე რომ მომახტები! კანოლით ახლა მე არ უნდა შემხვედროდა ყალურობა.

ნაცვ. რეიზა ყოველთვის? ამას წინათ არ იყო სამუშაოზე წასვლა რომ გაპატივებ?

ქეს. (ბავშვებს აჭმეკს და ეუფლანა ქოსში შედახს).

კაც. მაგიერი მე ყანაში მოგეხმარე.

ნაცვ. ამელამ წადი რკინის გზაზე, ერთი დღეიც შინ მომეხმარე ყანაში და იმ კვირას რომ სამუშაოზე წასვლა გიწყვს, იმას გაპატივებ.

კაც. (ჩაიბინებს) კაი, რალა ვქნა? წავალ ამელამ საღარჯოთ.

ნაცვ. აბა, პა, არ მილაღატო, თვარა ციმბირს გაგვგზავნიან მეც და შენც ორივეს. (მიადის).

კაც. კაცო, როდის მომიტყუებინაზარ, რომ ახლა მოვატყუებ? (მოაბრუნებს) ერთი კვირის მუშაობა ავიცილნე თავიდან. (სუფრას მიუჯდება) ეს კაი საქმეა მარტო ხელა კაცისა.

ქვს. (გამადის ქაისიდან) რაიო, რა უნდოდა ნაცვალს?

კაც. (ხარბათ ჭაშმს) „დიდი კაცი მობძანდება, და რკინის გზაზე უნდა იდარაჯოო.“

ქვს. (სუფრას მიუჯდება) მერე რაფა შეგიძლია ამ მოლაღულ კაცს?

კაც. სამუშაოზე წასვლას ვაპატიებო. პაწაი საქმე არ არი ჩვენდა.

ქვს. პაწაი არა ძალიანი საქმეა. თუ კი ვევაპტია.

კაც. ძალიანი ხო... მარა ესე ვარ მოთეთქილი რომ... დასაქვევლი მივალ ამდამ აგი მოლაღული კაცი, ერთს გემოთი დევიძინებ მეთქი, ვიფიქრე, რა მაინც და მაინც ამელამ გამოსკდა დიდი კაცი და ყველაი!

ქვს. რა ექნა მე უბედურმა! ნეტაი შემეძლოს და მე წვეილოდე შენს მაგივრათ.

კაც. კაია რომ წახვილოდე, იმ ყარაულებს ამედამ თავს შეაკეციებ, ცოდვაა მოწყინდებათ.

ქვს. პო, შენებური დიფწყე ერთი ხუმრობა ესე არ ეჩივი მე.

კაც. ჩივილი რათ გინდა. თუ სიკეთეს უზამ, ბარემ უჩივილოდა ჯოზს.

ქვს. მოპყვეი შენებურათ. (აღერსია) შე ფინთო შენ!

კაც. ხუმრობას თავი დავანებოთ და შენ ეს მითხარი, ჩემო კესო, რამდენი ფუთი სიმინდი შეგვიძლია გვეიშეტოთ გასასყიდათ?

ქვს. ენახოთ ხვალე, მეტი რომ გავვიდოთ და ჩვენ მივკაღდეს ჰელი არც ეს ვარგა.

კაც. ხვალე რაფარც კი დავბრუნდები სახლში მაგრათ გამეძინებ და მერე მოვამზადოთ ყველაფერი. ტომრებსაც დაკერება უნდა და საგაღსაც მომზადება.

ქვს. მაგი ჩემს თავზე იყოს, ყველაფერს მოგიშნადებ.

კაც. რომ იცოდე ბაღანასავით მიხარია, აგი სამშაფათი სანამდი მევილოდეს ერთი სული მაქ. რამდენი ხანა ვეშაბდებოთი სიმინდს გავყიდი და ცოლ-შვილს დავმოსიე მეთქი, მარა ყოველთვიან გამიყვრებოდა რამე მიზეზი და ქე დავბრუნებოდი. ახლა კი სრული იმედი მაქვს ვეფერი დამაკავებს ჩემო კესო. (დამოქნარებს).

ქვს. ბაღნებს სიხარულით ვახშამი არ უქამიენ: ხვალე ბაბე პელანგს მოგვიტანს.

კაც. (გაქსმარებს) ექ რანიართ მეზარება ახლა წასვლა... მარა რას იზამ, ბრძანება თუ არ ახარულე ციმბირი და შენი ჯანია.

ქვს. ნეტაი რანარი ადგილია იგი ციმბირი, ძალიანი ცუდი კი უნდა იყოს? დიდ კაცებს არ გზავნიან ნეტაი ციმბირში?

კაც. პა! დიდკაცები სხვებს გზავნიან, თავის თავს არა; ძალიანა უბედურათ არის ყაძახის საქმე მოწყობილი.

ქვს. ნეტაი რას იზამენ დიდ კაცები. ყაძახები რომ არ იყოს ქვეყანაზე?

კაც. მაშინ დიდ კაცები არ იქნება, რამდენი რა არ ტრიალებს საწყალი ყაძახის თავზე; ცოდ-შვილი დააჩინე, ფოშტის ფული გადახადე. უჩიტლის, მწერლის, გზის სამუშაოზე წადი, ყველას მორჩილობა გაუწიე. ყველას ემსახურო. ახლა დიდი კაცი მობძანდება გვიბრძანებენ ვუდარაჯოთ. ექ. მე წავალ თვარა. (წამოადგება) კაი ხანი გვედა ჩვენ დაბარაკში და იქნება ქე ვამასწრო იმ მაშინამ. (შედის ქაშმა, კესრიაგ გაჰყვება, კინა ფრანჯა მთისხამს, თათს გადიდებს შხარზე და გამოადის, კესრიაგ გამოჰყვება).

კაც. (კესრიას) კუთით იყავი. (გაეშურება სდა-რატათ).

ქვს. შენ იყავი კუთით და დილას ადრე მოდი. (მოგვრუნებს) უი, მათ დიდ კაცობას! ამ მოლაღულ კაცს რა ვაჩაუშებს უძნროთ. არა ძალიანი გამწველებული სიცოცხლე კი აქ ყაძახებს. იგენის გაჩენაში ღმერთი არ ურევია. (ჭურჭლებს ადაგებს) ყველას მოსამსახურე იგინია. ენის თქმისაც კი გეშინია კაცს, რომ მართლი თქვა. (შეხდაჯს ტას) უფ რა მივარიანი დამეა. საწყალი კაციე ერთი დაძინენება რას ერჩია, მარა ესეა სამსახური. სიღარიბიზა ღმერთს რაფა შევეცოდავ, მარა სვავერთაც რომ არ ვგაძლევენ მოსვენებას; რას იზამ კაცი, თუ კი ორ კაბეის ხელი შევალე, იგი იმათ უნდაჩაათოს ვადასახადები გამოთება და ბაღნები ქე დამირჩა იმიზა შიშველი და ისეე ჩვენ მივიკელით ყორიფელი. აგერ სამშაფათს, ღმერთო შენით, დილა ადრიან ავაქრელებთ ურემს სიმინდით. გინდამც ყორიფელი სიკეთე მემონოს ამ ბაღნების დამოსვის საქმე რომ გავახერხებთ. (თოჯანს თათებზე) დღეს შაფათი, კვარე, ორ შაფათი და სამშაფათი სულ ოთხი დღეა შუახე. სულ არ მეძინება, აგერ მამლები ჰყვიან, შუალამზე გადარებული უნდა იყოს. ვაი თუ კაცის დაავიანდა და მაშინამ გაასწრო... მაინც წავალ დავწობი, ხვალე ტომრები უნდა დავაკერო ყველა, ათასი საქმე მაქ. (შედის ქაშმა. სიენა დიდხანს წარიდება. მოვარე ჩადის. რაჯაყდება. მთისმის მამაჰაის ყავია. სიენაზე შეიოდის დარაჯა).

დარაჯი. ამაზე უსამართლობა კიდევ იქნება?... მუშაობისგან მოქანკული კაცი გავზავნეს საღარა-

ჯოთ. ვინცა ოხერი დიდი კაცი იყო, აღარ ეშველა მისი მაშინის გამორება. უკცადა, უკცადა ამ დაღალულ კაცმა, ჩამივიძინა... კაცის თავი რეინცაზე დუღუღია: თუ ვინცა მანა მაშინა გამეიარა, მაშინვე შევიტყობ და წამოვებტებო და ასძინებია. არ გასულა რომ გამიჩინა ხანმე აშინა ცოგარაყებულ ვაგონები თვალ-წარმტაცათ ბრკეკი აღებდა მთვარის შუქზე. ისე უხმა ურათ გვისრიალა რელსზე, რომელზედაც კაცია იწვა და განაგრძნო გზა... ახლა აგღია ლიანდაგზე, ვნახე მკვდარი კაცი თავი ქონდა წაგლეჯილი, ვიცანი ჩემი კარგი მგებობრი, კაცია მუნჯად ახლა მის ცოლს რაფერ უთხრა, ბედნების სიცოდე მწვავს, რაფერ უყვარდა ცხონებულს ცოლ-შვილი. (ჩახსკეფეს) მისინძელო, ეი მისინძელო!

ქეს. ვინ ბრძანდები, (ქასის კარესი შაჯგუას).
ღარ. მე ვარ, საქმე მაქვს თქვენთან... უტელურება გეწვიათ.

ქეს. რა ამბავია, რა იყო?

ღარ. კაციეზა მაშინას თავი წუღუღლეჯია და აგერ მოაქვან. (ღარაუკესი შემაქვთ ჯაღამბრით კაცის გვაში. კუსარა დაწაუგეს, დაქრეშა მინჯაღებუჯას გვაშთან, პაუშებიც წოვაღ-კაიედიოთ გამიწვიფან და სტირიახ).

უ ა რ დ ა .

პელაგია შარაშენიძე



თოვლიან ღამეში

თოვლიან ღამეში სიფითრე ფრინავს...
 სიწყურხრეს ისვრიან ძაფები მთვარის.
 და, როგორც თვალეში შემოიღო მხატვარის,
 ჩემს სულში დაჭრილ სიხალისეს სძინავს...

ციდან მოფრინავენ თეთრი ფერფლები.
 თბილისმა მოისხა თეჟა სინაზის.
 ეხლა თვით ბორბოტი სულიც შინა ზის,
 მე ვარეთ დავალ—მსდევენ ნატერფლები

ჩემს სულში დაჭრილ სიხალისეს სძინავს...
 თოვლისა ფიჭქები თეთრ ზეწარს შლიან.
 უბოლო ფიჭქები თუ არ შეგვშლიან,
 ქოჩაზე სიცოვე მიანი გამყინავს...

ლალო პერტაია



ქართულ ღრამ. ხელოვნების პრიზისი

„თეატრი და ცხოვრება“-ს მე-8-ე №-ში იოსებ იმედაშვილი შეეხა მეტად საყურადღებო საკითხს—ჩვენი სასცენო ხელოვნების კრიზისს, და ამ ასპარეზზე მოღვაწეთა უმეტესობის საქმიანობას უწოდა პამფლეობა.

სავანი მეტის-მეტად საყურადღებოა, მაგრამ, სანწუხაროდ, ავტორი დიდხანს არ შეჩერდა მის განხილვაზე.

მოგახსენებთ ანდაზა: როგორც ბერი ისეთი ერო, როგორც ჩვენი დრამატურგია, იმნაირიც თეატრი. გენიოსი დრამატურგი ყოველთვის ჰქმნის გენიოს მსახიობს.

მაგალითი: ინგლისი, საფრანგეთი და სხ...
 მაგრამ ჩვენში დრამატული ლიტერატურას დიდი კრიზისია და ამ კრიზისმა შექმნა ჩვენი თეატრის ნ.მდევილი ღრამი.

და თუ მოპოვებოდნენ ჩვენს სასცენო ისტორიაში ისეთი პირნი, როგორიც ვლ. ალექსი—მესხიშვილი, კ. მესხი, ნ. ჩხეიძე და სხ. უნდა ვემაღლოდეთ ევროპულ დრამატურგებს შექსპირს, შილერს, სარდუს, დიდეს და სხ. რომელთა ნაწარმოებზეც შექნეს ჩვენი სცენის მადიდებელი.

მიმითითებენ ვასო აბაშიძეზე.
 ამხედვე ვიტყვი: ცვაბრული სუნდუქიანიცი დამოღიერი რომარ ყოფილიყვნენ, ჩვენ მას სცენაზე ასეთს ევრეხილავდით

და თუ არიან ა. იმედაშვილი, გამყრელიძე, იშხენელი და სხ. მათ შეუღლიათ გადმოსცენ თორეინალური ტიპების ფსიქოლოგია; მაგრამ, თუ კი დაწერილი არ არის პიესები, ისინი ხომ ვერ შეიხზენ ტიპებს?

სამედნიეროდ თუ საუბედულოდ, ჩვენში მუსიკას უფრო მეტი პროგრესი დაეტყო, ვიდრე ღრამას. ქართული ოპერა მალე ქიშპობას დაუწყებს ევროპულსა და განსაკუთრებით რუსულ ოპერას, მაგრამ ღრამი მიდის რეგრესისაკენ.

გ. ერისთავმა მოგვცა კომედია. მას შემდეგ იყვნენ საჭირონი ახალი გ. ერისთავნი, მაგრამ უკანასკნელნი არ ჩანდნენ, იყვნენ მხოლოდ მისი მოწაფენი.

ი. გედევანიშვილმა მოგვცა „მსხვერპლი“. სადაც ვაგვეცნო ხალხის ფსიქოლოგიას, მაგრამ გმირები მისი მეტალანი გამონდნენ. დანარჩენი მისი ნაწარმოებნი ამ პიესის შემდეგ მეორე ადგილს იკავებენ.

შოთაშვილმა მოგვცა „მთის ზღაპარი“, „მეგობობა“... მაგარი შემდეგში მეგობრულად ვაგვმორდა. იგი აპყვა ეფექტებს და პიესების მაგიერ, გვაჩვენა სინემატურაფი.

ტრ. რამიშვილს აქვს კარგი „შეშლილი“... მაგრამ შემდეგში ღრამა შეეშალა.

ალ. სუმბათაშვილმა თავის მაგარი კალმით დასწერა უკვდავი პიესა „ლალატი“, რომელმაც მიულ ქვეყნიერებას ანეო საჭირთველის სახეში. მაგრამ შემდეგში ავტორმა თვითან გვილაღა და აღარ დაგვიწერა ქართული პიესა. თუმცა სუმბათაშვილმა გაამდიდრა რუსეთის დრამატურგია და ოსტროვსკის შემდეგ პირველი ოლაგი დაიკავა.

შალვაშვილი, შალვა დადიანი და სხ. რომელთაც დაიწყეს ასეთი ღრამა, ვერ განავითარეს, თუმცა ზოგიერთი ტიპები გაკერიოთ ყვით გამოყვანილნი.

ჩვენში ბევრა ცდილობდა შეექმნა ღრამა, მაგრამ ცდამ, უმეტეს შემთხვევაში, უნაყოფო შედეგები გამოიღო.

მარტო ბუნებრივი ნიჭი წერისა არ ემარა. საჭიროა განვითარება, ვადაიოხვება და შესწავლა დრამატული ლირეატურისა, როგორც ეროვნული, ისე მსოფლიოსი.



ვარდენ ჯავახის-ძე გოცირიძე

ვარდენჯავახიანი ერთი წლის შესრულების გამო, ძველი სახალხო ზუსტი. 1883 წლიდან მესამე იოსებ დავითაშვილიან ერთად ქარხანა ჰქონდა თელავში და მოწინავე მუშად ითვლებოდა. იოსებ დავითაშვილის სიკვდილის შემდეგ ხელოსანობის მასწავლებლად გამწესდა თიონეთის ორკლასიან სასწავლებელში; საკუთარის ხელით ააშენა სოფ. ბარისახოს სკოლა და ეკლესია. 1902 წ. ქ. მგრვას (ტაშვენტის ოლქი) გაიწვიეს მასწავლ., 1917 წ. სამშობლოში დაბრუნდა. ვარდ. 1919 წ. თებერ. 19 - შავი სახადით, 62 წ. იქნებოდა. 80 - 90-იან წლებში მუდამი ხალხში ეროვნულ-სახოვადიობრივი თვითცნობიერება შეჭმონდა

პიესის წერის ტენიკაც უნდა განახლდეს...

თანამედროვე დრამის ტენიკა მოითხოვს: დიალოგების შემცირებას მინიმუმამდე, მონოლოგების სრულიად ამოშლას. მეტ მოქმედებას, სიცოცხლეს. ნაკლებ ლაპარაკს, ნაკლებ ფანტაზიას, ფილოსოფიას და მეტ სინამდვილეს. მაყურებელი თვითონ უნდა მიხედდეს პიესის იდეას და არა პიესის მომქმედმა პირებმა მათ უჩინონ.

ჩვენი ახალგაზდა დამატურგები არც ერთ აღნიშნულ წესს არ იცავენ.

მათი გმირები რეალური ტიპები არ არიან, სულ შეთხზულია.

ისინი უფრო ლექტორებს წაავაჯან, რამენიცი სახიზელს წინ დამშვიდებით და და დალაგებით ლექციას კითხულობენ სოციალიზმის შესახებ: არც განცდა, არც გრძნობა, არც სინამდვილე; ფილოსოფია თავსებაური რამდენიც გნებავთ. უბრალო გლგეს, რომელსაც „პალოშიანი“ ფხვსაცმელი თავის სიცოცხლეს უბრუნებს, კანტის ბრძნული ცნით ალაპარაკებენ.

მოქმედება?

ჯერ ხომ მაყურებელს მონოლოგებით სიცოცხლეს მოაბეზრებენ, შემდეგ საქმე მიდგება „მოქმედებაზე“. აბა, მაშინ უსულო ხანჯლების და რეკლამების ტრიპტიკი. მთელი არსენალი ამუშავდება სცენაზე გმირები ერთმანეთს ახშობენ, თავს ჰკეფთავენ, წელებს ვარედ აყრებიან და სხ... ასე რომ მაგარი ნერვების მაყურებელი უნდა ბრძანდებოდეთ, რომ ამ სივრცე უსურობა ეხლა კომედიებზე.

კომედიებს მართლაც კოპიურად სწავავენ. გაუგონიათ, კომედიაში სიცილი უნდა გამოიწვიოს მაყურებლებში და მართლაც მათი კომედიები სიცილს იწვევენ მაყურებლებში, — არ გვეგონათ თვისი რუმორის წყალობით, არამედ დასცინიან თვით ავტორებს.

მთელი ბაზრის ლექსიკონი და პორნოგრაფია ვადატანილია მათ კომედიებში. ჟარგონი "პირველ ხარისხზეა. დღეს, როდესაც ჩვენი მიკიტანი, ან ყასაბი ჯღვაშს ინგლისურ გემოვნებაზე იპარავს და დღესასწაულზე ტრადიციონულ ჩოხის მაგიერ, ვაბერელ ტანზე ვიხიტავს იცვამს, წულების მაგიერ ამერიკული ფენსაცემლებს აცვია — საკითხავია, რაზე დასტორდათ ჩვენ კომედიების დამწერთ, სუნდუქიანებს და ცაბრლის დროების დაბრუნება?

რა საჭიროა შარკო?

როდესაც ჩვენ ცხოვრებაში იქნები მასალა კომედიისათვის?

კომედიაში უნდა გამოიწვიოს მაყურებლებში ჯანთეული სიცილი...

იგი უნდა სდევნიდეს საზოგადოების ყველა უარყოფითი მხარეს: მექრამეობას, სახელწიფთო ქურდობას, ცრუ-სოციალისტობას, სპეკულაციას და სხ. მათი კომედიები კი თავის ეარგონით უფრო ხრწნის ჩვენს საზოგადოებას.

იმედია, ახალგაზდა დრამატურგნი არ ვაგვიწერებიათ

ვეხარია კიდევაც, რომ სურვილი და ხშირად ნიქიუ პიესების წერისა გამრავლდა.

ჩვენი დარბი დრ. მ. ტურგია, რასაკვირველია, ნატრობს და საჭიროობს ახალ შემოქმედების ძალებს.

მაგრამ ყველა ეს ცოდნა უნდა ეთარღვროდეს მთლიანობის და მხატვრულ ფარგლებში, რომ მაყურებლებში გაღვივდეს არა დიკონა და სიმულეგოლი, არამედ ესთეტიკის გემოვნება და სინამატიკა ახალ შემოქმედებისადმი.

სვ. წერეთელი

თ ე თ რ ი გ ე დ ი

- ოცნებითა გატაცებულს ჩამძინა რამე მტირე;
- ძილში ენახე თეთრი გელი,
- ვილა ვტაცე; დავიჭირე.
- ხარბად გულში ჩავიხტე,
- მეტის გრძნობით დავიყირე...
- გამეღვიძა. აღარ მყავდა
- თეთრი გელი და ვიტირე.

დ. ლუკაშვილი



ქალ ოზურგეთაში თებერვლის პირ, რაცხებში შესვდა ჯარისკაცთა და გვარდიელთა წარმომადგენელთაგან კულტურულ-განმანათლებელი სექცია. სექციაში შედიან გურიის შეიარაღ. ძალთა უფროსი პოლკ. ცომაია გურსაძე. გვარდიის სარტყლი შტაბის თავმჯდომარის ანზ. ში

ბაქუნაშვილი, წვერი-მდივანი რ. ჩხაიძე, გვარდიელი შა-
ლივა ჩხაიძე და მე 4-ე ქვეითა ბათალიონის ლეიტენანტი
კოპალიაშვილი, ამ დღეებში ხსენებულმა სექციამ ერთ
ერთ სამხედრო შენობაში მოაწყო კობტა სცენა. გვარდი-
ელები და ოფიცრები აშხადებენ წარმოდგენად გ. ერი-
სთვის „სამშობლოს“. ახრად აქეთ მოაწყო ჯარისკაცთა
და გვარდიელთათვის წიგნთსაკავი. იმედია საზოგადოე-
ბა არ მოაკლებს ამ სიმპატიურ დაწესებულებას თავის
ნიკაიერსა და ზნეობრივ თანაგრძნობას. **გიორგი ლ.**

დ. ცაგარში ლეჩხუმის სამხრლო ერობის თაოსნო-
ბით იანვრს 24 სტუნდენტთა დღის მიმწყობ კომისიაში
არჩეულ იქნა ი. ხონელიძე, ნ. ქათარაძისა, ი. ახვლედი-
ანი, ვ. სვანიძე, ვ. გელოვანი, ც. სანიელაძისა და ბ. მა-
ნავაძე კომისიის გამომწვევები: 1) 26 იანვარს ჩამოატ-
არეს საბინო ყუბაში, რომლითაც შეგროვდა 1891 მ. 45 კ.
ამაში ყაბი აღმოჩნდა 179 მ. 2) ხელმისაწერი ფურცე-
ლით შეგროვდა 4400 მ. 3) საღამოზე პირველი სიტყვა
წარმოთქვა ერობის თავმჯდომარე აშხ. ი. ხონელიძემ
უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე. სიტყვა შინაარსიანი.
ორატორმა ვრცლათ განმარტა ქართული უნივერსიტეტის
მნიშვნელობა საქართველოსთვის და ქართველ ახალგაზ-
დობისთვის. მეორე სიტყვაში ვ. ასათიანმა გაატარა პა-
რალელი ძველი რუსეთის უნივერსიტეტების და საქარ-
თელოს ახლად დაარსებულ უნივერსიტეტის შორის. ხალ-
ხი კმაყოფილი და ნასაიმოვნიბი დარჩა. 4) დაიდგა „რაც
გინახავს ველარ ნახავ“ და ბოლოს სიმღერები.

წარმოდგენიდან დარჩა 2579 მ. სულ შემოვიდა 8870
მ. 45 კაბ. დიხარჯა: სტენისათვის 396 მ. აღმოჩნდა ყა-
ბი 179 მ. და ფულს გადასახაზენი 84 მ სულ 575 მ.
დარჩა წმინდა 8295 მ. 45 კ., რომელიც გაეგზავნა სტუ-
დენტთა დღის მოწყობა მთავარ კომისიას. **ვი-სექ**

არსენლის თეატრში შაბათს, 7 თებერვალს გაიმარ-
თა: თურ., თეატრი და ცხოვრება... ს. საღამო. პირველ
განყოფილებაში თურნალის რედაქტორმა იოსებ იმედა-
შვილმა წა-მოსთქვა სიტყვა, ხელოვნებაზე იგი მდა-
ბიო ხალხური ენით შეეხო ხელოვნების მნიშვნელობას.
„როგორც ს. ქმელია ადამ-ანისთვის საქორი, ისე გონებ-
რივი სახლო. გონებით ამაღლება“ო სიტყვა მან. საზო-
გადოებამ იმედაშვილი მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.
მეორე განყოფილებაში დადგმულ იქნა ა. ცაგარის უკ-
დავი პიესა „რაც გინახავს ველარ ნახავ“. პიესაში მონა-
წილეობდა ძველი სტენის მოყვარენი და ყველამ, გარდა
ჩხიკვიშვილისა (დავითი), თავთავისი როლები კარგად შე-
არტულს. საღამომდნ დარჩა 4150 მან., რაც ვადაეცა
„თეატრი და ცხოვრება“ს რედაქციას საგამომცემლო ფო-
ნდის გასაძლიერებლად. წარმოდგენაში მონაწილეობდენ: *)

ქანი მარგველაშვილი, გელოვანი; ბ-ნი ლ. ბაღ-
შვილი, გიორგაშვილი, დ. მელაშვილი, პ. ბეგუაზაშვილი, დ.
ჯავახიანი, შ. ჩხიკვიშვილი, მახაიაშვილი, მკარაიანი; კარ-
კიაშვილი, გ. მიქელაძე, ს. ქიტაშვილი და სხ.

შალვა გორისელი

ბაღდადში წინეთ ხაფხულობით იმართებოდა წარ-
მოდგენები, მაგრამ ამ მოვლენას მხოლოდ შემთხვევითი
ხასიათი ჰქონდა შარშან მისში კი ლეფან კუჭუბინის და
დათიკო ხაჩნციაშვილის თაოსნობით და ადგილობრივ ინტე-

ლიგენციის დახმარებით ბაღდადში და მუდმივი თე-
ატრი. შესდგა სტენის მოყვარეთა კავშირი, აირჩა გამეგ-
ობა და საოცრიზო კომისია. გამეგობამ შემოილო ოქმე-
ბის წინეი სადაც დაწერილებით იწერება ყოველი, წარ-
მოდგენის და სხდომების ანგარიშები, შემოილო შემოსა-
ვალ-გასილის წიგნი; მანვე მოაწყო დამსწრე საზოგადო-
ებისთვის საფლამი ადგილები. შეიძინა სტენაზე ჩამოა-
ფარებული ფარდა, დეკორაციები და სხ. და ამგვარად
უკვე შესაძლებელი შეიქნა ბაღდადში სისტემატიურად
წარმოდგენების მართვა. საზოგადოებაც თანაგრძნობით
ეყოლება თეატრს და წარმოდგენებს ბევრი ხალხი ესწრე-
ბა. სტენის მოყვარებებში არიან სასტენო ნიჭით დაჯილ-
დოვებული ძალები. ამ ბოლო დროს სასტენო მოღვაწეთა
ჯგუფს მიემატა ცნობილი სახალხო მოღვაწე გიორგი ჯან-
დელით, რომელიც რეჟისრობას დასს და მასთან დიდი
დაკვირვებული და ნიჭიერი თამაშით როგორც დრამაში
ისე კომედიაში საზოგადოების დიდი პატივისცემა და სი-
ყვარული დაიმსახურა.

სახალხული სეზონი დაიწყო 18 მაისს და დამთავ-
რდა 27 ექნისთვლით. ამ ხნის განმავლობაში გაიმართა 18
წარმოდგენა, აქედან 3 საქველმოქმედო. სულ შემოვიდა
სახალხული სეზონში 16547 მან. 65 კაბ. საზამთრო სე-
ზონის პირველ ნახევარში 26 ოქტომბრიდან 23 ნოემბ-
რამდე გაიმართა 5 წარმოდგენა, აქედან ერთი საქველ-
მოქმედო, მიხნით. ამ ხნის განმავლობაში შემოვიდა 5246
მან.; ამას გარდა სტენის მოყვარეთა დახმარებით გაიმარ-
თა ორი საქველმოქმედო წარმოდგენა ადგილობრივ ქალ-
თა სკოლის და მოსწავლის შ. მ-ძის სასარგებლოდ. ქუ-
თათის დრამატიკულ დასის არტისტებმა გაიმართეს ერთი
წარმოდგენა. **X**

ქ. ზუგდიდში იან. 26 ა. წ. გაიმართა გრანდიო-
ზული საღამო, „სტუნდენტის დღის“ აღსანიშნავად: 1) ექ-
დელტკიარის ბ-ნ ანდ. პატარაიას დირაქტორობით იმე-
დრეს ეროვნული ჰიმნი; 2) ზუგდიდის ქალ-ვაჟთა გიმნაზი-
ის ქართულ ენის მასწ. სიმინ გოგინიაშვილმა წაითხა
ლექცია უნივერსიტეტის დაარსებაზე და მისი დღის მნი-
შვნელობაზე. 3) ქ-ქ. ვ. ქალადასა და ჩიქოვანის ბ-ნი ი. ბო-
ხუას, კ. ყიფიანის, ნ. ბუკიას; ვ. ჯიქიას და პ. მეუნარგიას მო-
წაწილებით წარმოდგენილ იქნა კომ. 2. მოქ. „მოტყუებუ-
ლნი“. გამეგოდ იყო გიმნაზიის დირექტორი მექი კობახიძე.
4) ექმ. ა. პატარაიას ხელმძღვანელობით შემდგარმა გუ-
ნდმა შესარულა სხვადასხვა ქართული სიმღერები, რაიც
ძლიერ მოეწონა დამსწრეთ. 5) გერმანულ ენის მასწავლე-
ბელმა ქალმა ზინა ჟორდანიამ შეგვიერად იმღერა რა
მიღწეებით რუსული სიმღერა. მისმა გამოსვლამ აღტაცე-
ბაში მოყვანა საზოგადოება; 6) ა. პატარაიას მოზარდმა
ქალიშვილებმა საუცხოოდ დაუტყეს რიოილზე, რამაც
აღტაცებაში მოყვანა საზოგადოება. ანტრატების დროს
იყიდებოდა თურნალ-ვახეთები და სხ. დარჩა 12 - 13 ათა-
სი მან. ამას მიემატა ყუბაშებით შეყვრილებიც, ასე რომ
სულ 20000 მან. იქნება, რომელიც გაიგზავნება ქ. თბი-
ლისს დანიშნულებისა მებზ; საერთოდ საღამომ საუცხო-
ვოდ ჩაიარა და არც საკვირველია რადგან ინტელგენტტი
ძალანი-ქაიო თუ კაცი საოცარი ენოსყოფილებით ასრუ-
ლებდენ დავალებულ საქმეს. განსაკუთრებით აღსანი-
ინებია ექმინი ანდროა პატარაია, რომელიც რადენათ დო-
სტოქორიაში ცნობილი, იმედნად დიდი კულტურული
საქმეების მოღვაწე მოყვარულია. თუქა ზუგდიდის მზ-
რაში აუარებული საექიმო საქმე აქეს, მაინც იგი ხელო-

რედაქცია ქველ მოაწვილებ გელოვან მადლოას უფლებს-
რედ.

ნებასაც, ემსახურება: შემდგარი ჰყავს ზუგდიდის სცენისათვის თვალსაჩინო მომღერალთა გუნდი; ვითარცა მუსიკის მკონდნეს საკუთარი სხვადასხვა სიმღერებიც აქვს გამოგონილი და ნოტებზე დაწერილი; ამავე დროს ტენიკურ-მექანიკურ ხელოვნების მკონდნეა და სხ. იგი ყოველი საერთო კულტურულ მუშაობას დაუხარავს და ჩუმიად ეწყვეა. მიუხედავად მინიმალულებისა, მას ხელოვნება უპართოდ სწამს და თავგამოდებით ემსახურება ხალხის საკეთილდღეოდ.

ვისურვებო ჩვენი იტელიგენცია პარტულოების მიუხედავად მუდამ ისევე შეერთებულიყოს, ისე გულმოდგინეთ ემუშავანოს, როგორც იყო წინ იანვარს, რათა ამით უფრო ავმალდებინოს ჩვენი კულტურულ ხელოვნური დონე.

გაუმარჯოს ურთიერთა შორის სოლიდარულ მუშაობას! ძირს ჩვეულებრივი კინკლაობა და შურიანობა!!

პეტრე მეუნარეა

ქ. ხაშურში იანვ 29 გაიშარათა „თეატრი-ცხოვრება“-ს საღამო. ხაშურის სცენის მოყვარეთა კავშირმა წარმოადგინა „მსახიობის დღე“ და „ბედნიერი დღე“ წარმოდგენა და წყებამდე საგანგებოდ მოწყვეტლმა იოსებ იმედაშვილმა წარმოსთქვა ორი სიტყვა: 1) „ცხოვრება და ხელოვნება“ და 2) „ქართული მეომარი ძველად და ახლა.“ ორივე სიტყვა საზოგადოებამ დიდი ყურადღებით მოისმინა და ლექტორი მხურვალე ტაშით დააჯილდოვა პიესებში მონაწილეებდენ: ქ.ნი ნ. ყაჭვიშვილისა, ნ. ბეკოშვილი, ბ.ნი ელ. სარია, ან. ქელიძე, მ. კვალაიშვილი, ნ. თედორაშვილი, ა. ებრაღიძე, ყველა მონაწილენი დამსწრეთ მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. დაესწრო დიდძალი საზოგადოება, საღამოზე, სხვათაშორის, ამერიკული აუქციონით გაიყიდა იოსებ იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“. შემოსავლი 5000 მანეთამდე „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციას ვადასცეს საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად. აქვე აღნიშნავთ, რომ აღვილობრით საზოგადოება და ორგანიზაციებით დიდის თანაგრძნობით შეხედნენ ამ საღამოს. კლუბმა ქირა არ იიქრა, ხაშურის გვარდიის მუსიკამ სრულიად უფასოდ დაუქრა და დავილობრები წრეც ყოველის მხრით შეცდა საღამოს უკეთ ჩატარებას.*

გ ლ ი

ნოხიანის საზოგადოება ექსკას კომლამდე, აქ არის ოთხკლასიანი სასწავლებელი, დაბალი სკოლა, სამკითხველო სადღაც ღუქანშია მოთავსებული. სათეატრო დარბაზი კი არასადა სჩანს. ერთი წელიწადი დაიწყეს ფულის მოგროვება სახალხო სახლის ასაგებად. მებრამ ჯერ არაფერი სჩანს. აქ მოწინავე პირნი მოიპოებინა, თითქო პარტული მუშაობა სწარმოებეს, მებრამ კულტურული და განსაკუთრებით ხელოვნების- მიყუჩებულია. აქაურთა თემის თავმჯდომარეა გ. აღშობაია, კაცი შეგნებულად ურთიერ არ იქნება მოწინავე პართ კრებას მოიწვევდეს და გამოარკვევდეს: 1) სახალხო სახლის ასაგებად შეკრებილ თანხას რა მენდი ეწყია, რამდენია შეკრებლი და 2) დანებარებინოს საჭირო თანხის შედგენა, რათა სახალხო სახლის დაგებას დროით ჩაეყაროს საძირკველი მაინც.

მეზავრი

ეკატერინოფელდში (ბორჩ. მ.შ) სამაზრო ერობის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობამ შემადგომლობა აღქრა ერობის თვითსარკველობის წინაშე, რათა მას დაეთმოს შესაფერი ბინა მოსამსახურეთა კლუბისთვის.

ამავე კავშირის გამგეობის თაოსნობით, დაარსდა სცენის მოყვარეთა წრე, რამელიც, დროკამოშეებით გამართავს ქართულ წარმოდგენებს. პირველი წარმოდგენა გაიმართება 22 თებერვალს.

ესსურვით ხსენებულ წრეს დაეახელ და დ მოზნების განხორციელებას.

მადლობა კავშირის გამგეობას ენერგიული მოპოებისთვის.

ლ ა ნ ი

ქ. ლანჩხუთში კვრას, 8 თებერ. ლანჩხუთის რაიონის სახალხო გვარდიის კულტურულ-განმანათლებლები სექციის ფონდის სასარგებლოდ მსახ. ა. ჯაყელი, ქ.ნი ფაკია ასკურავას, ჯ. ჩიხაძის, მსახიობ ვ. ასკურავას და ზ. ურშელის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა „ორინის ბედნიერება“.

ბ. ნ. ჩავლეიშვილის ხელმძღვანელობით იმღერეს გურულ-ეროვნული სიმღერები. ბ. ჩავლეიშვილმა დ. უკრა ჩონგური და დამღერა შესანიშნავი ლექსები. ხალხი ხანგრძლივი ტაშის ცნებით აჯილდოვებდა. უკრავდა ადგილობრივი მუსიკა. ლადიკო წულაძემ წარმოსთქვა ორიოდ სიტყვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს გვარდიას და მოქალაქეებს მოუწოდა, რომ ცრუადენი წელიწადი გავლთ გვარდიის კულტურულ-განმანათლებლები სექციის ფონდის სასარგებლოდ.

მ წ ი

არტისტიკულ სახ-ის (ან უკვე საქალაქო თეატრი თებ. 18, ქართული მსახიობებმა წარმოადგინეს „სუმბათაშვილას, „ღალატის“. ზინიბას ასრულებდა ნინო ჩხეიძე. ქართულ სცენის დედოფალმა მშვენიერად შესარულა საქართველოს დედოფლის როლი. მხარს უმშვენიერად გუნია. — ოარ ბეგი გუნია მუქნა და გეწინინ, სცენიდან წასლისას თან არ გაიყოლოს ეს როლი. დარბაისელი და ბუნებრივი ანანია იყო ვ. გამყროლიძე.

მხატვრმა მ. ქიათურელმა სცენაზე მხატვრულად განასახიერა ერეკლე. ლამზად შესარულა ანჯაფარიძის ასრულმარუქიას როლი. მ. ამაშუკელის დათოსაც არა უჭირდარა, მხოლოდ სასცენო ტენიციას მეტი ცოდნა მპირა აივებს, ბუნებრივი სასცენო ნიჭი აქვს. საჭიროა მეტი გრომი, რომ „ღალატის“ დათო ქართულ კლუბის გამგე ამაშუკელს არ გაედეს. ვასო აბაშიძის ბესო კვლავ ცოცხლობს სცენაზე. ს. შანშიაშვილის სულიწმინა ძალიან ვაჯავრებული იყო. საჭიროა მეტი სიღარიბისლეს. ს. შანშიაშვილი საპატოო ალავს დიკავებს ქართულ სცენაზე. აქვს კარგი ხმა და გრძნობა. საჭიროა მეტი რუნებრიობა. ნახი გაიანე იყო გამრეკლი ცრციშვილის საბავ უნაკლო იყო.

სცენატექნიკისავის გრომი საჭიროა, თორემ ქულაჯებში გამოწყობილ მეპურეებს ჰგავან, ვიდრე სულიწმინის ჯარის დამარცხებულ ქართველ მეომრებს, ულავო სცილოც სცენაზე შეუწყნარებელია საზოგადოება მრავალი დავსწრო.

ჯ ი ლ ა





დავით კლდიაშვილი

ხანატი შ. თოძისა.

— ესეც შენი იუბილე!

ფერილი ამბები

დავით კლდიაშვილის იუბილეს მრავალი საზოგადოება დაესწრო სახელმწიფო თეატრში თებერ. 15 დაწერილობით შემდეგ.

გვარდიის კულტურულ განმანათლებელმა კომისიამ გადაწყვიტა კვირაში ორჯერ სახელმწიფო თეატრში გაიმართოს ქართული წარმოდგენები გვარდიელთათვის.

ქ. არმავირში გარდაიცვალა რუსის დრამის მსახიობი მაიოუსა პეტია.

იდილობრიც რუსის დრამის „ტარტო“-ს დასში მონაწილეობენ შემდეგი ქართველები: ქნი მირზაშვილისა (ალეკო), აბელაშვილისა, ვანხაძისა (დონაუერი), თარხან მოურავისა (დანიჩ) ბ-ნი გიორგი დავითაშვილი (დავიდოვი პრემიერთაგანი) ვარსეფან კომპარტელი (კომპაროვი) ვიხრეც და სხ.

მსახიობი და მწერალი ნ. დიმიოვი სთარგმნის რუსულ ენაზე, ი. გუდვიანიშვილის პიესას „მსხვერპლს“ ორი მოქმედება უკვე ვალათარგმნა. პიესა ამ სეზონში დაიდგმის.

ახლო მომავალში ქართველი მსახიობნი ნ. დიმიოვის მონაწილეობით დადგამენ გ. ერისთავის პიესას „გაყრა“.

იკლავში გაიმართა ქართული გამოფენა.

მის. წერეთელი ავად ყოფილა. აკაკის ძეგლის ასაგებად მოკლე ხანში თათბირი გაიმართება დამფ. კრ. ხელოვნების კომისიის და საეთნ. საზ-ისა.

სამხატვრო ეროვნული გალერეია არსდება თბილისში. მთავრობის დადგენილებით დებულბა და შტატებში უკვე დამტკიცდა.

„ახალბაღს და ეთერის“ ცალკე ნომრების ნოტები უკვე გამოვიდა გასასყიდათ.

ახალი პიესა იოსებ იმედაშვილისა „ნამუსიანი ხალხი“ უკვე დაიდგა ნათელულში პიესა ცალკე წიგნთაოც გამოვიდა გასასყიდათ.

მეფუტკრეობა ბერტრონისა, თარგ. ლ. ცაგარლისა უკვე დაიდგა და ამ დღეებში გასასყიდათ გამოვა.

ალ. არაბიძის და ამხ. გამოცემანი: 1) „ქართული მოკლე გრამატიკა“. შედ. ი. ნიკოლიაშვილის მიერ, მე 4 ხე გამოც. 48 გვ. ფ. 8 მან., 2) „მსოფლიო ისტორიი“. ალ. წერეთლის ნაწ. I ძველ საუკუნეთა ისტორია, 46 სურათით მე-2-ე შეესებულები გამოცემა, 144 გვ. ფ. 25 მან. 3) იგივე ნაწ. II საშუალო საუკუნეები, მე-2-ე შეესებულები გამოცემა, სურათებით, 96 გვ. ფ. 22 მ. 4) ძველი ისტორია, დ. უხანაძისა, წიგ. I ძველი აღმოსავლეთი და საბერძნეთი, სურათებით, 181 გვ. ფ. 30 მან. ყველა წიგნი საუკეთესო ქალაღსება დებუქდილი. მშენიერად გამოცემული და შედარებით, ძლიერ იაფია. დაწერილებით შემდეგ.

—ხელოვნების კომისიამ დაადგინა: 1) გ. იშხნელის ოჯახს დახმარება აღმოუჩინოს. 2) შეავართოს რესპუბლიკის ყველა სამუსიკო საზოგადოებები ერთ ორგანიზაციად.

ვაკეზე სტალინის გამართვის გეგმა შემუშავდა. ამფიტეატრი განზრახულია 140 ათას ალავისათვის. ხარჯი გადადებულია 16 მილიონი. მოკალაქენი სურვილისამებრ უსასყიდლო იქნებიან მოწვეულნი სამუშაოდ. ახლო მომავალში გამოცხადდება ხეების დარგვის დღე სტალინის გარშემო.

—ცნობილი გიმნაზია გ. ივანიაშვილი და სახ. „შეგზრდენი“ დიდ მუყაითობას იჩენენ საქართველოს ყველა კუთხეში გიმნასტიკის განსავითარებლად.

პირველხარისხოვანი რესტორანი

შაშკანი!

ამხ — ბა მძათა კერეხელიძეების და ბაქრაძეთა (რუსთაველის პრ. სახლი გორელაშვილის № 16) ერთი საუკეთესო რესტორანთაგანი დემოკრატიის სასტუმროდ.

საუხმე და სადილი ქართული, იმერული, ევროპული, აზიური მზადდება საუკეთესო მზარეულის თავდგომით, სასმელები ყოველნაირი რესტორანში უკრავს სიმებიანი ორკესტრი. (წლიური)

ახალი წიგნი ყარიზისა ამ დღეებში გამოვა ყარიბის ახალი შრომა „წითელი წიგნი“ რუსულ ენაზე, რომელიც შეიცავს დაახლოებით 250 გვერდს. წიგნის შექმნის მსურველთუნდა მიმართონ: 1. წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მალაზიაში რუსთაველის ქუჩაზე, 2. კიკნაძის წიგნის მალაზია „ახალ სიტყვაში“ და 3. „ქართველ ბეჭდვითი ახსნავაგობის“ სტამბაში რუსთაველის პრ. № 26. 3-2.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.